89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!



89 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №3 (7080) 20 იანვარი 2023 წელი ● facebook გაზეთი თერჯოლა

ახალი წელი— ახალი იმედებით...

სრულიად საქართველო, ახალი, 2023 წლის შემობრძანებას, საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელებული მასშტაბური საახალწლო პროექტით შეხვდა. პროექტი ყველა თაობის მონაწილეზე იყო გათვლილი და თითოეულისათვის საახალწლო საზეიმო განწყობისათვის იყო გამიზნული.

20 დეკემბერს დავით კლდიაშვილის სკვერში საზეიმოდ აინთო მუნიციპალიტეტის მთავარი საახალწლო ნაძვის ხე. ამ ცერემონიალს მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ რიგით მოქალაქეებთან ერთად. საოცრად ლამაზი სანახავი იყო საახალწლოდ მორთული ქალაქის ქუჩები და მოციმციმე ფერადი ნათურები. 28 დეკემბერს კი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ მოწვეულ თერჯოლელებს, დიდსა თუ პატარას, დავით კლდიაშვილის სკვერში ნაძვის ხესთან გაშლილი საახალწლო სოფელი დახვდათ, სადაც მიუხედავად სუსხიანი ამინდისა უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.

სილამაზითა და შინაარსით დატვირთულ საახალწლო სოფელში განლაგებული იყო სხვადასხვა დანიშნულების „სახლები“, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები, საშობაო-საახალწლო ბაზრობა, სადაც წარმოდგენილი იყო თერჯოლელ მეწარმეთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, საბავშვო სივრცე, სადაც საახალწლო სათამაშოების დამზადების პროცესი თვალსაჩინო იყო და ნებისმიერ მსურველს შეეძლო მისი შესწავლა, ასევე ნებისმიერ მსურველს შეეძლო სახის მოხატვა, სხვადასხვა თამაშობებში ჩართვა, ზღაპრის გმირებთან სურათების გადაღება თუ ინდივიდუალურად, ლამაზ ჩარჩოში ჩასმით.

ერთი დიდი სიხარული იყო ბავშვებისათვის თოვლის ბაბუასთან შეხვედრა, მასთან სურათის გადაღება და საჩუქრების მიღება.

მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ გლინტვეინი, დარიჩინის ორცხობილა, ცხელი შოკოლადი...

დღის 2 საათზე სასულე ორკესტრის მსვლელობით დაწყებული საახალწლო პროექტი, რომელიც მოიცავდა ასევე ზღაპრის გმირების მსვლელობას, მოსიარულე ორკესტრის შოუს, საახალწლო კონცერტს, დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრებისმ მომღერლების: მაგდა ნიკოლეიშვილის, რუსა მორჩილაძის, აჩიკო ნიჟარაძის და დავით მაზანაშვილის მონაწილეობით ლამაზი დღის შემდეგ გვიან საღამოს, ულამაზესი ფოიერვერკებით დასრულდა...

☞2

ახალი წელი ახალი სიხარულით...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ახალ წელს, ცხრა სოციალურად დაუცველი ოჯახი ახალ სახლებში შეხვდა!

ახალი წლის წინა დღეებში, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელ მანუჩარ რობაქიძესთან, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, თერჯოლაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს საცხოვრებელი სახლები გადასცა.

„სოციალური მიმართულებით, თერჯოლაში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივ ბიუჯეტში „სახლდაზიანების“ პროგრამის ეფექტური მუშაობისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა, რომლის ფარგლებში ცხრა სოციალურად დაუცველი ოჯახი ახალ წელს ახალ გარემოში შეხვდა. ძალიან მახარებს, როდესაც მათ ბედნიერ სახეებს ვხედავ. ისინი ცხოვრებას თბილ, კომფორტულ და კეთილმოწყობილ გარემოში გააგრძელებენ. თითოეულ თქვენგანს მინდა გულითადად მოგილოცოთ შობა-ახალი წელი, გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, წინსვლასა და გაძლიერებას, მჯერა, რომ ახალი წელი კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობებისა და წარმატების მომტანი იქნება ჩვენი თერჯოლისთვის“— განაცხადა მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ.

შეხვედრას ზედა საზანოსა და თუზის მაჟორიტარი დეპუტატი, დავით გოგბერაშვილი, სიქთარვა-ახალთერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ჯემალ ისაკაძე, ბარდუბნისა და ეწრის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ვერულაშვილი, საკრებულოს წევრი ბიძინა ბუცხრიკიძე და საქართველოს პარლამენტის წევრის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომელი,- ზვიად გვადიბაძე ესწრებოდნენ.

წარმოგიდგენთ თერჯოლის საპატიო მოქალაქეებს

საახალწლოდ, თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა ოთხ თერჯოლელს: ნარგიზ ცქიფურიშვილს, პაატა მხეიძეს, ომარ ნიშნიანიძეს და დემირ დოლაკიძეს.

თერჯოლა მათ ვრცლად გაგაცნობთ ჩვენი გაზეთის საშუალებით. საპატიო მოქალაქეების ოთხეულის წარმოდგენას ვიწყებთ პაატა მხეიძით. გვ. 5

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამები დამტკიცებულია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა და მასში მონაწილეობდნენ მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი და მერიის სამსახურების ხელმძღვანელები, საკრებულოს დეპუტატებმა დაამტკიცეს მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის სოციალური პროგრამები და უძრავი ქონების 2023 წლის პრივატიზაციის გეგმა. სულ მუნიციპალიტეტში იმუშავებს 14 სხვადასხვა ასეთი პროგრამა, რომელთა საერთო ბიუჯეტი 1 280 000 ლარია ანუ ზრდა გასულ წელთან შედარებით შეადგენს 135 ლარს. პროგრამების ზოგად დებულებებს სრულად გაეცნობით გაზეთის მორიგ ნომერში. დასაწყისი და პრივატიზაციის გეგმა იხ. ამავე გაზეთის მე-3 და მე-4 გვერდებზე.

წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში

ახალი წელი— ახალი იმედებით...

1☞

ამ ლამაზ საახალწლო ღონისძიებას ჰქონდა ერთი განსაკუთრებულად უმნიშვნელოვანესი დატვირთვა. იმ დღეს დასახელდნენ თერჯოლის საპატიო მოქალაქეები.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით ამ საპატიო წოდების მფლობელები თერჯოლელთათვის კარგად ცნობილი ადამიანები: ნარგიზ ცქიფურიშვილი, პაატა მხეიძე, ომარ ნიშნიანიძე და დემირ დოლაკიძე გახდნენ. ისინი შეკრებილ საზოგადოებას მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა წარუდგინეს და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

„ჩემო თერჯოლელებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს! მშვიდობის, სიკეთის, სიყვარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის! მჯერა რომ 2023 წელი სასიკეთო ცვლილებების, კიდევ უფრო მეტი საქმიანი და ახალი შესაძლებლობების მომტანი იქნება. წინ საინტერესო გამოწვევები გველის, რომელსაც ჩვენი ერთიანობით, დასახული მიზნისაკენ დაუღალავი სწრაფვით, შრომითა და ერთმანეთისადმი სიყვარულით გავუმკლავდებით და ერთად გავაგრძელებთ ჩვენი ქალაქის წინსვლასა და განვითარებას“!—აღნიშნა თავის გამოსვლაში მანუჩარ რობაქიძემ.

იმ დღეს ნამდვილად ლამაზი სანახაობის მომსწრენი გახდნენ თერჯოლელები და არა მხოლოდ ისინი. გამვლელ-გამომვლელნი ინტერესით აკვირდებოდნენ სკვერის შემოგარენში მიმდინარე პროცესს და ვისაც ამის საშუალება ჰქონდა უერთდებოდა საახალწლო ზეიმის მონაწილეებს...

ახალი წლის დადგომა ახალ იმედებთან, უკეთეს ხვალინდელ დღესთან ასოცირდება...

იმედის გამართლებისა და ოცნებების ახდენის წელი ყოფილიყოს 2023 წელი თერჯოლელებისა და სრულიად საქართველოსათვის...

მზია ცქიფურიშვილი

2023 წლის პირველი სამუშაო თათბირი

9 იანვარს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან ერთად, სამსახურისა და განყოფილების უფროსებთან, ა(ა)იპის ხელმძღვანელებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან 2023 წლის პირველი სამუშაო თათბირი გამართა.

„ბედნიერი, ნაყოფიერი და წარმატებული წელი ყოფილიყოს ჩვენთვის, ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ჩვენი სამშობლოსათვის— ახალი 2023 წელი... გილოცავთ!“

ამ სიტყვებით დაიწყო ახალი წლის პირველი სამუშაო შეხვედრა მანუჩარ რობაქიძემ, რომელმაც ამჯერად თათბირის მსვლელობის ტრადიციული სქემა დაარღვია და თათბირის მონაწილეთაგან ინფორმაციების მიღების ნაცვლად თავად მიაწოდა მათ საინტერესო ცნობები.

უპირველესად მან აღნიშნა იმის თაობაზე, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტმა კარგი სასტარტო პოზიციით დაიწყო ახალი—2023 წელი ინფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისით, რომელთაგან გასული წლიდან ამ წელში გადმოსულია ხუთი (ძევრის კანიონი, მერიის მიმდებარე სკვერი, №3 საბავშვო ბაღი, ღვანკითის გზა, ახალთერჯოლის წყალი), ხოლო ახალია შვიდი. ეს პროექტებია:

ქვედა და ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი გზა;

კვახჭირის საავტომობილო გზა;

გოდოგანში ჭიჭინაძეების უბნის გზა;

ჩხარიეწერი -ძევრის დამაკავშირებელი გზა;

თუზი-თავასის დამაკავშირებელი გზა;

ავტობანი-ბარდუბნის ცენტრის დამაკავშირებელი გზა;

სოფელ ჩხარის ცენტრალური წყალსადენის დებეტის გაზრდის მიზნით, მიმწოდებელი მაგისტრალის და სატუმბი სადგურის მოწყობა.

უნდა ითქვას, რომ ამ პროექტებზე ტენდერები სრულად თვის ბოლოსთვის დამთავრდება, რომლის შემდეგ უახლოეს პერიოდში დასრულდება სხვა პროცესუალური და ორგანიზაციული სახის ღონისძიებები გამარჯვებული კომპანიების მიერ სამუშაოების დასაწყებად.

თათბირზე მერის მოვალეობის შემსრულებელმა ყურადღება გაამახვილა, მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კრებებზე, რომლებიც 23 იანვრიდან დაიწყება. ცნობისათვის—„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის 690000 ლარი გამოიყო (გრაფიკი იხ. გვ.3).

მანუჩარ რობაქიძემ მუნიციპალიტეტის საქმიანობის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზეც ისაუბრა, ასევე მიმდინარე საქმიანობის პროცესიც შეაფასა და თანამშრომლებს შესაბამისი მითითებები მისცა.

სამუშაო შეხვედრაზე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა მერის წარმომადგენლებისა და სამსახურის უფროსებისაგან შესრულებული სამუშაოებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოისმინეს ინფორმაციები. მათი მოსმენისა და შეჯამების შემდეგ კი მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ თითოეული სამსახურისა და ა(ა)იპის ხელმძღვანელს, მომავალი კვირის განმავლობაში სფეროების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშის წარდგენა დაავალა.

სტიქიამ დაგვაზარალა...

2022 წლის დეკემბრის ბოლოს და 2023 წლის იანვრის პირველ დღეებში ინტენსიურად თოვდა აღმოსავლეთ საქართველოში, თოვლი მოვიდა დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში.

მცირედ ჩამოთოვა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზედა ზონის სოფლებშიც. მართალია, თოვლი დიდი არ იყო, მაგრამ საშობაოდ, მუნიციპალური ტექნიკით, ოპერატიულად გაიწმინდა გოგნის „კარუგდებლის“ ტაძრისაკენ მიმავალი გზა. მალევე, იანვრის პირველი დეკადის ბოლოსა და მეორე დეკადის დასაწყისშივე დამდგარმა მზიანმა ამინდებმა, აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში

დაფიქსირებულმა დიდმა ტემპერატურულმა სხვაობამ და ზედდართულმა ე.წ. „ციმბირულმა ციკლონმა“, რომელიც რამდენიმედღიან შტორმულ ქარებად დაატყდა თავს დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად დააზარალა იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის მხარის მუნიციპალიტეტები. ისე, როგორც ყველგან, სტიქიასთან დაკავშირებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში სასწრაფოდ შეიქმნა რეაგირების ოპერატიული ჯგუფები, ამოქმედდა ცხელი ხაზი და მოსახლეობას მიეწოდათ პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ტელეფონები. ☞3

საახალწლოდ...

საახალწლოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატ ელისო მურადაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან დავით გოგბერაშვილსა და ჯემალ ისაკაძესთან ერთად, იმ დაწესებულების თანამშრომლებს ესტუმრა, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ერთგულად ასრულებენ პროფესიულ მოვალეობას.

ხელმძღვანელმა პირებმა, საახალწლო ნობათი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლებს გადასცეს, შობა-ახალი წელი მიულოცეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

„განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში მუშაობენ და ზრუნავენ მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, სიმშვიდესა და კეთილდღეობაზე, ღირსეულად ემსახურებიან ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ქვეყნას. მინდა თითოეულ მათგანს

მადლობა გადავუხადო და წარმატებული საქმიანობა ვუსურვო”—აღნიშნა მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ.

„საპოვნელაში“...

საახალწლოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი შშმ ბავშვთა სასწავლო-სარეაბილიტაციო დღის ცენტრის „საპოვნელას“ აღსაზრდელებს ესტუმრნენ, ბავშვებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

„მინდა თითოეულ თქვენგანს მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი, გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და ნათელ მომავალს. თქვენთან ყოველთვის იგრძნობა სითბო, სიყვარული, სიკეთე და ბედნიერება. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, თქვენში არის ძალიან დიდი შემოქმედებითი პოტენციალი და მოტივაცია. თერჯოლის მერია მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ცენტრით მოსარგებლე ბავშვების ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღებას და თვითრეალიზაციაში დახმარებას“—აღნიშნა მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ორი შშმ ბავშვთა სასწავლო-სარეაბილიტაციო დღის ცენტრია, სადაც საერთო ჯამში 26 აღსაზრდელი იღებს განათლებას. მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და მხარდაჭერით ორივე დღის ცენტრს მათივე საჭიროებების მიხედვით გაეწია დახმარება.

მედალი მამაცობისათვის

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ჯუანშერ ბურჭულაძის ბრძანებით გასულ წელს ბორჯომის ხეობაში მძიმე სტიქიური მოვლენის, მასიური ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, ჩვენი თანამემამულე, რიგითი, რეზერვისტი **დიმიტრი ცერცვაძე** დაჯილდოვდა მედლით.

გილოცავთ!

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება იწყება

მიმდინარე წელს, ისე როგორც წინა წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევა ეფუძნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს, რის გამოც დასახლებებში გაიმართება საერთო კრებები, ან კონსულტაციები მოსახლეობასთან, სადაც მოქალაქეები თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას განსახორციელებელი პროექტების შერჩევის თაობაზე.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები განსაზღვრულია და ეს მიმართულებებია:

— სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

— სარწყავი სისტემები; სანიაღვრე არხები; ნაპირსამაგრი სამუშაოები;

— გზები და გზისპირა მოსაცდელები; აგრეთვე, ტროტუარები და გზის შემადგენელი სხვა ინფრასტრუქტურა; ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები; გარე განათება;

— სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

— ამბულატორიის შენობები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

— სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;

— წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი; სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა;

შეხვედრები გაიმართება ღია სივრცეში. თავშეყრის ადგილის შესახებ წინასწარ ეცნობება მოსახლეობას მერის წარმომადგენლების მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

შეხვედრების ჩატარების განრიგი;

23 იანვარი—11:00 საათი. სოფელი გოდოგანი (ნაგარევი, ბროლისქედი, ჭალასთავი)

23 იანვარი—12:30 საათი. სოფელი ჭოგნარი

23 იანვარი—14:00 საათი. სოფელი კვახჭირი (ოდილაური, სარბევი)

23 იანვარი—15:30 საათი. სოფელი ნახშირღელე (ნავენახევი)

23 იანვარი—17:00 საათი. სოფელი ქვედა სიმონეთი

24 იანვარი—11:00 საათი. სოფელი ზედა სიმონეთი

24 იანვარი—12:30 საათი. სოფელი ბარდუბანი (სათემო)

24 იანვარი—14:00 საათი. სოფელი ეწერი (ახალი უბანი)

24 იანვარი—15:30 საათი. სოფელი სიქთარვა (ჩხარი -ეწერი)

24 იანვარი—17:00 საათი. სოფელი ახალთერჯოლა (ბოსელა)

25 იანვარი —11:00 საათი. სოფელი თუზი (კაკაბოური, თავასა, ჯგილათი, ვარდიგორა)

25 იანვარი—14:00 საათი. სოფელი საზანო (დელტასუბანი, შიმშილაქედი)

25 იანვარი—15:30 საათი. სოფელი საზანო (ჩიხორი, მუჯირეთი, სკანდე)

25 იანვარი—17:00 საათი. სოფელი რუფოთი (რუფოთი, ტელეფა)

26 იანვარი—11:00 საათი. ალისუბანი (ქვედა ალისუბანი)

26 იანვარი—12:00 საათი. ალისუბანი (ზედა ალისუბანი, ზარნაძეები, თხილთაწყარო, მაჩიტაური)

26 იანვარი—13:30 საათი. სოფელი ღვანკითი

27 იანვარი—11:00 საათი. სოფელი ძევრი (ოქონა, სეფარეთი)

27 იანვარი—12:30 საათი. სოფელი გოგნი

27 იანვარი —14:00 საათი. სოფელი ჩხარი ((მაცხოვარი).

პრიორიტეტების დაგეგმვის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრები 23 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მოიცავს. ,,სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის 690 000 ლარი გამოიყო.

კრებაზე / კონსულტაციაზე მისვლისას მოქალაქეებმა თან უნდა იქონიონ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

დეტალურად https: / / terjola.gov.ge /

საახალწლო ნობათები სოციალურად დაუცველ ოჯახებს

საახალწლოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბავშვებს საახალწლო ნობათები გადაეცათ.

რამდენიმე ოჯახში პირადად მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილთან ერთად იმყოფებოდა, თითოეულ მათგანს სასურსათო ნობათი გადასცა და შობა-ახალი წელი მიულოცა.

საახალწლო ნობათები მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ორგანიზებით ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა პირადად გადასცეს ბენეფიციარებს.

ასევე ხელმძღვანელი პირები შშმ ბავშვთა სასწავლო-სარეაბილიტაციო დღის ცენტრის აღსაზრდელებს ესტუმრნენ და ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

,,მინდა გულითადად მოგილოცოთ შობა-ახალი წელი, თითოეულ თქვენგანს მშვიდობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, ბედნიერებასა და ნათელ მომავალს გისურვებთ. ჩვენი მოვალეობაა ვიზრუნოთ თქვენთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, სადაც სრულფასოვანი განათლების მიღება იქნება შესაძლებელი"—აღნიშნა მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ.

სტიქიამ დაგვაზარალა...

2 ☞

სტიქიის პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გოდერძი თურქაძე სისტემატიურად გადიოდნენ იმ ლოკაციებზე, სადაც განსაკუთრებულად მძიმე სიტუაცია იქმნებოდა. ისინი საკრებულოს ხელმძღვანელებთან და დეპუტატებთან ერთად პირადად იმყოფებოდნენ სოფლებში და ათეულობით თერჯოლელის ოჯახში, რომელთაც საცხოვრებელი სახლები დაუზიანა ძლიერმა ქარმა. უნდა ითქვას, რომ გარდა სახურავების მასიურად დაზიანებისა, ასევე ბევრგან დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები, წაიქცა მრავალწლიანი ხეები და სხვა. მიცემული დავალებების შესაბამისად, მერიის მიერ შექმნილი ჯგუფები, მერიის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით ინტენსიურად მუშაობენ მიღებული ზარალის აღრიცხვის და დაზიანებული შენობა-ნაგებობების აღდგენაზე. პირველადი მონაცემებით სტიქიამ დააზიანა 100-ზე მეტი სხვადასხვა შენობა-ნაგებობა, რომელთა შორისაა 90 კერძო სახლი, 5 საბავშვო ბაღი, 3 ადმინისტრაციული შენობა და სხვადასხვა დამხმარე ნაგებობა.

სტიქიის შედეგებთან დაკავშირებით შეგიძლიათ დარეკოთ:

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი 112;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი—577 390 560

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, გოდერძი თურქაძე—555 503 110

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 2023 წლის პრივატიზაციის გეგმა

სააუქციონო განცხადებებს მიადევნეთ თვალი ინტერნეტსივრცეში, ვებგვერდზე—www.eauction.ge

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 801.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა, რუსთაველის ქ. №129, საკადასტრო კოდი 33.09.34.477, საწყისი საპრივატიზებო საფასური 31 800 ლარი.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 237.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა, საკადასტრო კოდი 33.09.35.157, საწყისი საპრივატიზებო საფასური 3 560 ლარი.

3. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1571.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თერჯოლა, იმერეთის ქ. №7-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი 33.09.43.272, საწყისი საპრივატიზებო საფასური 2 360 ლარი.

4. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 230.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭოგნარი, საკადასტრო კოდი 33.02.31.219, საწყისი საპრივატიზებო საფასური 7 810 ლარი.

5. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 290.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა, საერთო ფართი 122,55 კვ.მ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოდოგანი, საკადასტრო კოდი 33.03.33.010, საწყისი საპრივატიზებო საფასური 25 600 ლარი.

6. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 163.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა, საერთო ფართი 108,50 კვ.მ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოდოგანი, საკადასტრო კოდი 33.03.36.001, საწყისი საპრივატიზებო საფასური 5 000 ლარი.

7. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 227.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბარდუბანი, საკადასტრო კოდი 33.06.31.237, საწყისი საპრივატიზებო საფასური 8 850 ლარი.

8. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 49.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა, საკადასტრო კოდი 33.08.35.166, საწყისი საპრივატიზებო საფასური 1 230 ლარი.

9. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 124.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა, საკადასტრო კოდი 33.08.35.168, საწყისი საპრივატიზებო საფასური 2 480 ლარი.

10. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 300.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალთერჯოლა, საკადასტრო კოდი 33.12.31.001, საწყისი საპრივატიზებო საფასური 3 600 ლარი.

11. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა საზანო, საკადასტრო კოდი 33.18.42.001, საწყისი საპრივატიზებო საფასური 3 500 ლარი.

12. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 48.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნახშირღელე, საკადასტრო კოდი 33.04.37.623, საწყისი საპრივატიზებო საფასური 2 600 ლარი.

13. GAZ3307-1-ACH. სპეციალიზირებული, სახელმწიფო ნომრით GCC-974, გამოშვების წელი 2000, საწყისი საპრივატიზებო საფასური 2500 ლარი, მესაკუთრე თერჯოლის მუნიციპალიტეტი, შეფასების თანხა 3 500.

14. VAZ21061 სედანი, მსუბუქი, სახელმწიფო ნომრით DAS-888, გამოშვების წელი 1986, საწყისი საპრივატიზებო თანხა 300 ლარი, მესაკუთრე თერჯოლის მუნიციპალიტეტი, შეფასების თანხა 500 ლარი.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ხათუნა და გოდერძი თურქაძეებს მამიდის

მერი გაბეხაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნანული დევიძეს მეუღლის

გივი გვენეტაძის

გარდაცვალების გამო.

მანანა და დავით კლდიაშვილები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ელგუჯა რობაქიძეს ძმის

მევლუდ რობაქიძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 2923011001)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 200 000 (ორასი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები:

ა) იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები;

ბ) ობოლ ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე);

გ) სამ და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000);

დ) იშვიათი და ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა ოჯახები;

ე) გადაადგილება შეზღუდული შშმ პირთა ოჯახები;

ვ) ვეტერანთა ოჯახები;

ზ) მარტოხელა პირები;

თ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები;

ი) ოჯახში ძალოდობის მსხვერპლი (რომელთა შემოსავალი ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000);

კ) სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000)

ლ) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები;

მ) დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული ბენეფიციარები.

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა:

1) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების, მარტოხელა პირების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება 100 ლარის ოდენობით წელიწადში ერთჯერადად.

2) ობოლ ბავშვთა ოჯახების (18 წლამდე), შშმ პირთა ოჯახების, ვეტერანთა ოჯახების დახმარება 150 ლარი ერთჯერადად.

3) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები დაავადების სიმძიმის მიხედვით 100 / 150 ლარი, სამი და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი) და სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000) დახმარება 150 ლარით წელიწადში ერთჯერადად.

4) დაუნი, აუტიზმი, იშვიათი დაავადების მქონე და ონკოლოგიურ ბენეფიციართა ოჯახები 200 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

5) ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახები და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება 500 ლარით წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ბ) ავადმყოფობის შემთხვევაში ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100 / ა) გაცემული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

დ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

ე) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან / და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში).

ვ) სოციალურად დაუცველთა შემთხვევაში ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს რეკომენდაციის მომზადების მიზნით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე, პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29230112)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დასახელება:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის ფარგლებში განხორციელებული მომსახურება: ოპერაცია გამოკვლევა.

ბ) საყოველთაო პროგრამით ან კერძო დაზღვევით დაუფინანსებელი ოპერაცია.

გ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება.

2. არ დაფინანსდება:

ა) ესთეტიკური მიზნით ოპერაციები.

ბ) საკეისრო კვეთა.

გ) მკურნალობა.

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის ასანაზღაურებელი თანხიდან:

ა)1000 ლარამდე თანხის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 50% ით.

ბ)1000 ლარიდან 3000 ლარია ჩათვლით 500 ლარით.

გ) 3000 ლარიდან 5000 მდე 800 ლარით.

დ) 5000 ლარის ზემოთ 1000 ლარით.

2. მოქალაქეების მეორედ მომართვის შემთხვევაში, რომელთა მატერიალური შემოსავალი ფიქსირდება 10 000 ლარი და მეტი დახმარება არ გაეწევათ.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი.

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია,) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, დაუფინანსებელი თანხის მოცულობის ჩვენებით.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

ვ) კერძო დაზღვევის შემთხვევაში მოქალაქემ წარმოადგინოს ცნობა საყოველთაო დაზღვევიდან თანხმობის ან უარის შესახებ.

ზ) მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში);

თ) მინდობით აღზრდის შემთხვევაში მინდობი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 7. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თანადაფინანსების შესახებ წერილის პროექტს.

2. სამედიცინო მომსახურეობის ღირებულების თანხიდან დაფინანსებული იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულების სრული ნუსხა, რომლის საფუძველზეც გამოიცემა მერის ბრძანება.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა მხეიძე: „ჩემთვის პატივია და საამაყო თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა“...

...ჩვენთვისაც, თერჯოლელებისათვისაც საამაყოა ბატონი პაატა, საამაყოა, რომ ჩვენს გვერდით გაზრდილი კაცი ცნობილი ადამიანია რუსთავში, თბილისში და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველოში. მის მიერ განვლილი გზა იმის მაგალითია თუ როგორ უნდა იცხოვრო, იშრომო, შექმნა, გიყვარდეს საქმე, რომელსაც ემსახურები და გიყვარდეს ადამიანები, ყველაფერი, რაც ღირსეულია, ამაღლებულია, სათნო და კეთილია...

მივყვეთ თანმიმდევრობით. მშობლები: ქალბატონი ეკატერინე (კატუშა) სამედიცინო დარგის მუშაკი და ბატონი ფირანი პედაგოგი, პაატას სიყვარულის გარემოცვაში ზრდიდნენ, უნერგავდნენ საუკეთესო თვისებებს, მკაცრებიც იყვნენ და შვილის ინტერესების გამტარებლებიც, ყოველთვის აძლევდნენ მას თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას. თვითგამორკვევის—საკუთარი თავის და ადგილის პოვნის პროცესი—ოჯახში დამთავრდა და თანდათან გაიკვლია გზა...

გზა კი ასეთია

განმარტოებულს, საკუთარ თავთან დარჩენილს ხშირად ჩაუხედია საკუთარ გულში, ობიექტურად შეუფასებია განვლილი თუ მიმდინარე ცხოვრება, გაკეთებული საქმის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

პაატა მხეიძე იურისტია—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: ქ. რუსთავის შემკეთებელ-მექანიკურ ქარხანაში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, საქართველოს პროკურატურის ორგანოებში, გენერალურ პროკურატურაში სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ, იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორად, ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის რექტორად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, ფინანსთა სამინისტროებში სხვადასხვა თანამდებობაზე.

2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, რუსთავის მაჟორიტარი—საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“. არის პოლკოვნიკი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

ეს იერარქიული თანამდებობები მეტ გამოცდილებას სძენდა, კვალიფიკაციას უმაღლებდა, ამტკიცებდა მის ღირსებას, ერთგულებას, პატიოსნებას, ბატონ პაატას ჰყავს მეუღლე—ხათუნა მხეიძე, ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად, კერძო სკოლაში პედაგოგად, ახლა საბავშვო ბაგა-ბაღში მუშაობს. შვილები: ირაკლი პროფესიით იურისტია, კერძო კომპანიაში მუშაობს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ, კონსტანტინეც იურისტია, მუშაობს იუსტიციის სამინისტროს პრობაციის სამსახურში, ლიზი სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტია. ბატონ პაატას და ქალბატონ ხათუნას ჯერჯერობით ერთი შვილიშვილი ჰყავთ, ოჯახის პატარა წევრი, რომელიც სიხარულსა და ხალისს ჰმატებს ისედაც ბედნიერ ოჯახს.

დიდი და გამართული ოჯახი აქვს პაატა მხეიძეს თერჯოლაში, შრომისმოყვარე მშობლებისათვის სამსახურებრივ დატვირთვას ხელი არ შეუშლია ხვავი და ბარაქა ჰქონოდათ, სოფლის მეურნეობის პროდუქტებითაც უზრუნველეყოთ ოჯახი და მიეყიდათ სახელმწიფოსათვის ტონობით ყურძენი წელიწადში.

* * *

პაატა მხეიძეს უყვარს თერჯოლა, ჰყავს უამრავი მეგობარი, თერჯოლას ახსოვს მისი წარმატებული საქმიანობა თერჯოლის პროკურატურაში. რაიონის, საკუთარი ფუძე-ჭერის სიყვარულით იზრდებოდნენ პაატას შვილები, თერჯოლა და წინაპართა, წინაპართა წინაპრების საფლავები მათთვის ყველაფერია.

* * *

დამოუკიდებელი ცხოვრების ნაბიჯები რუსთავში გადადგა: ქარხნის ზეინკლობიდან, კომკავშირულ სამუშაომდე, ამ პერიოდში რუსთავს ჟიული შარტავა ხელმძღვანელობდა, ბატონ პაატას თქმით იგი „უძლიერესი კაცი იყო, გამორჩეული სამეურნეო მუშაკი“, სწორედ ჟიული შარტავას „აღმოუჩენია“ პაატა და მერე ერთად აკეთებდნენ უდიდეს საქმეს რუსთავში, პირველი ეკლესია რუსთავში მათ ააშენეს, დაიწყეს მიკრორაიონების გამწვანების პროცესი—ხალხი უნდობლობით შეხვდა ამ წამოწყებას—„ხშირმა ტყემ მგელი იცისო“. რუსთაველებმა პაატა მხეიძეს სამაგიერო იმით გადაუხადეს, რომ თავიანთ მაჟორიტარ დეპუტატად აირჩიეს საქართველოს პარლამენტში, თანაც ორი ათეულზე მეტი წლის შემდეგ.

ასე გვეცილებიან რუსთაველები

...„კაცი, რომელიც შევიყვარეთ და ჩვენი გახდაო“—ასე ამბობდნენ რუსთაველები პაატა მხეიძის დეპუტატად არჩევამდე და დეპუტატად არჩევის შემდეგ. „იშვიათად იბადებიან პაატა მხეიძისთანა ადამიანები. „ჩვენ მას ჟიული შარტავას ვადარებთ“, „სიტყვის კაცი“, „მადლობა, რომ ისევ ჩვენთან ხართ“, „მადლობა, რომ არ იცით ტყუილი, ღალატი, დაღლა“, „თქვენი მისაღები ყოველთვის ხალხითაა სავსე“, „მეგობარსა და კაცობაში უღალატო“, „ფესვმაგარი, გულმართალი, თხემით ტერფამდე ქართველი“.

* * *

რუსთავის გადაქცევა თავისუფალ ეკონომიკურ ზონად, იაღლუჯის მთის მასივში გასულ წლებში არსებული მებაღეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთებზე საკუთრების მოგვარება, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების დაკანონება, ქ. რუსთავში ხსოვნის მემორიალის გახსნა. დიახ, ბევრი რამ გაკეთა რუსთავში, ძალიან ახალგაზრდა რომ იყო მაშინ და მოგვიანებითაც. კარგია, რომ უყვართ ჩვენებური კაცი და თავისად მიაჩნიათ, მაგრამ ბოდიში, ბატონო რუსთაველებო—პაატა მხეიძე ჩვენია.

სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე

ორმოცდაერთი წლის იყო პაატა მხეიძე იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელად რომ დაამტკიცა. მაშინ მინისტრს უთქვამს: „ვამჯობინეთ დაგვენიშნა ადამიანი, რომელსაც ექნებოდა სუფთა წარსული, მან რიგითი მუშიდან გზა ცოდნით გაიკვლია, მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. სასჯელაღსრულებითი სისტემა არის სახელმწიფო სახელმწიფოში. ამ ორგანიზაციას ზედმიწევნით ცოდნა სჭირდება, მთავარი ადამიანის დასჯა კი არა, მისი საზოგადოებისათვის სრულუფლებიან წევრად დაბრუნებაა, მიმაჩნია, რომ პენიტენციალურ ორგანოში დიქტატურის ხანა უნდა დამთავრდეს და ადამიანს, თუნდაც დამნაშავეს ადამიანურად უნდა მოვექცეთ, არ შეიძლება ვგავდეთ მათ, ვისაც ვსჯით. დიდი იმედი მაქვს, რომ პაატა მხეიძის პროფესიონალიზმი სასჯელაღსრულების დეპარტამენტს სასიკეთოდ წაადგება“.

* * *

„ვიცი სად მივდივარ და რა პრობლემების დაძლევა მომიწევს. პენიტენციალური სისტემის რეფორმირება დაწყებულია, ამიტომ ფინანსურ ასიგნებაში სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერის იმედი მაქვს. ეს ორგანო რევოლუციურ ცვლილებებს ძნელად ეგუება, მაგრამ ცვლილებები მოხდება, ამ სისტემაში მომუშავე ადამიანებზე დაყრდნობა ძნელია. არც იმის იმედი მაქვს, რომ ხვალ საქართველოს ციხეებში „გვირაბომანია“ ხელახლა არ დაიწყება, უამრავი შიგა და გარე ფაქტორები მექნება გასათვალისწინებელი, ამ სისტემაში ვმუშაობდი და ადაპტირებისთვის დიდი დრო არ დამჭირდება. პროკურატურაში გაცილებით მშვიდი სამუშაო მქონდა, მაგრამ არ მაქვს უფლება სიძნელეებს გავექცე“.

სიძნელეებს არ გაქცევია და არც მშვიდ სამუშაოზე უოცნებია. „პენიტენციალურ სისტემაში დიქტატურის ხანის დამთავრება“ იყო მისი მიზანი. ურთულეს ვითარებას პაატა მხეიძემ თავი გაართვა.

მსჯავრდებულების ტაში

თქვენ შეძლებთ ისეთი იმიჯის შექმნას, რომ სხვა სამუშაოზე გადაყვანისას ტაშით გაგაცილონ მსჯავრდებულებმა?—უკითხავს პაატასთვის ერთ ჟურნალისტს. ეს ძალიან ძნელი საპროგნოზოა, მე ილუზიებით არ ვიკვებები, მაგრამ ამისათვის ძალისხმევას არ დავიშურებ, ასეთი გაცილება ფილმში მინახავს—უპასუხნია პაატა მხეიძეს. ვერ ვკითხე როგორი იყო გაცილება იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორად გადაყვანისას, მაგრამ ის დანამდვილებით არის ცნობილი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ მუშაობის ოთხი წელი ნაყოფიერი იყო.

პაატა მხეიძე ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა, მას არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები, წლების განმავლობაში იმდენი გამოცდილება დააგროვა, რომ ყველა სიძნელეს გაუძლებს, ყოველთვის დაიკავებს კუთვნილ ადგილს. „არც ერთ თანამდებობას არ დათანხმდე, რომელიც შენთვის საბოლოო იქნებაო“—უთქვამთ მისთვის, ასეთი თანამდებობა მას კარგა ხანს არ ექნება, უკეთესი და უმჯობესი საქმე წინაა... მერე კი „ურიცხვი“ შთამომავლებით შემოჯარული მშვიდად და ბედნიერად გაატარებს მოხუცებულობის წლებს, შეიძლება სულაც თერჯოლაში, მამა-პაპის ფუძეზე.

რა აკლდათ პაატა მხეიძის შვილებს

მშვიდი სამსახური არასდროს ჰქონია, გვიან ღამემდე მუშაობდა, შვილების დაძინებამდე სახლში იშვიათად მიდიოდა. მუდამ ენატრებოდა მათი მოფერება, თამაში, სეირნობა, მუხლებზე დასმა, მეცადინეობაში დახმარება, მძინარეების გაღვიძება უხდებოდა, ბავშვების სურვილი მამასთან ხშირად ყოფნა იყო. წამოზრდილები უფრო გაგებით ეკიდებოდნენ მამის სამსახურებრივ მდგომარეობას, მის ოჯახთან დამოკიდებულებას, გააცნობიერეს ვინ იყო მამა და აღარ საყვედურობდნენ, „აპატიეს“ რადგან მიხვდნენ, რომ მამა მართლაც „გულის გულში ატარებდა ყველაფერს“.

უადგილო კითხვა

კითხვა—რატომ მოგანიჭეს თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა—კი დავსვი, მაგრამ პასუხს აღარ დავლოდებივარ. მე ვიცნობ მას სიყრმის ასაკიდან, თერჯოლაში მუშაობის პერიოდიდან, უკანასკნელ წლებში ხშირი ურთიერთობები აღარ გვქონია, და შევცდი კითხვის დასმაში, მე ხომ უკვე ხელთ მქონდა მისი ცხოვრების შესახებ საკმარისი ინფორმაცია, მალე მივხვდი, რომ კითხვა უადგილო იყო, პასუხი ამ კითხვაზე მისმა განვლილმა გზამ გასცა.

ჟუჟუნა ცხადაძე

ნათია მოსიაშვილი—„ვემზადები დიდი პროექტისთვის, იყოს ეს საიდუმლო“

...რა ახლოს იყო ჩვენთან ბავშვობასა და ახალგაზრდობაში, აგერ თერჯოლაში, ჩვენს გვერდით, ჩვენს თვალწინ გაზრდილი მშვენიერი გოგო, დღეს მსოფლიო სცენას იპყრობს, დიდ მაესტროებთან თანამშრომლობს. თერჯოლას ახსოვს ნათია მოსიაშვილი ბაღიდან, სკოლიდან, მუსიკალური სასწავლებლიდან—ბავშვობიდან მღეროდა, პირველად სულ პატარამ, ბაღის გამოსაშვებ საღამოზე იმღერა. „ეს ჩემი პირველი დებიუტი იყო სცენაზეო“—იხსენებს ნათია და არავინ იცოდა მაშინ, რა წარმატება ელოდა, რა შრომა მოუწევდა ნიჭის და შესაძლებლობის სრულად გამოსავლენად.

თერჯოლის მუსიკალური სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა, პარალელურად ჩარიცხული იყო ვოკალის ჯგუფში პედაგოგ გულთამზე კუბლაშვილთან. ნათია ამბობს, რომ ქალბატონ გულთამზეს დიდი წვლილი მიუძღვის მის მუსიკალურ განათლებაში, იმის გაცნობიერებაში, რომ სიმღერის ნიჭით არის დაჯილდოებული და დიდი მომავალი აქვს, თუ მშვენიერების ამ გზას გაჰყვება. სწორედ მისი დახმარებით იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, საიდანაც გამარჯვებული ბრუნდებოდა და აქვს კიდეც „უთვალავი“ სიგელები, მადლობები. სწორედ აქტიურობამ, რაიონში ჩატარებულ ყველა ღონისძიებაზე, ჩამოსულ სტუმრებთან ნათიას სისტემატიურმა გამოსვლებმა დააძლევინა სცენის და აუდიტორიის შიში, სამომავლო გზა გაეკვლია დიდ სცენაზე. იგი დიდი სიყვარულით იხსენებს თერჯოლაში გადადგმულ პირველ ნაბიჯებს, პირველ წარმატებებს და მსმენელის სიყვარულს. მეც ბევრჯერ მომისმენია მისი სიმღერა, ჟრუანტელის მომგვრელი ხმა და მინახავს სცენაზე დგომის მომხიბვლელობა, ხანგრძლივი ოვაციები და ხშირად ფეხზე წამომდგარი დარბაზი.

ერთი კონკურსი, რითაც გასცდა თერჯოლას

ერთმა კონკურსმა, რომელიც განსაკუთრებით ახსოვს, პირველად მოუტანა დიდი გამარჯვება, როგორც საუკეთესოს მოუხდა საბერძნეთში გამგზავრება რამდენიმე თვით, გაიარა ვოკალური კურსები და მნიშვნელოვნად აიმაღლა მო-

ნაცემები. 2009 წელი წარმატებული იყო ნათიასთვის, ჩააბარა ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის კონსერვატორიაში და ჩაირიცხა, ჩვენი რაიონის მკვიდრის, ბატონ რამაზ კუბლაშვილის კლასში „ბედნიერი ვარ, რომ ბატონი რამაზი არის ჩემი პირველი მაესტრო და დიდი მეგობარიც“—ამბობს ნათია და სიყვარულით იხსენებს მის ძალისხმევას, რაც გახდა მომავალი წარმატების საწინდარი, „ამ პროფესიონალი ხელოვანის ამაგს ვერასდროს გადავიხდი, მისი გვერდში დგომა ჩემთვის ბევრს ნიშნავდა“.

სასწავლებლის (კონსერვატორიის) დამთავრების შემდეგ ნათია დამატებით გაკვეთილებს გადიოდა ცნობილ მაესტრო ლადო ათანელთან, ხოლო მოსკოვში ჩაიკოვსკის კონსერვატორიაში მოსმენები ჰქონდა მაესტრო ზურაბ სოტკილავასთან, ეს იყო საამაყო ფურცელი ნათიას ცხოვრებაში. გენიალურ და წარმატებულ მაესტროსთან თანამშრომლობა მისთვის იყო არა მარტო პროფესიის ამაღლება, არამედ სტიმული მომავალ საქმიანობაში. ამავე პერიოდში ჩააბარა მაგისტრატურაში, მოგვიანებით მიიღო სასწავლელად საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილება. ქუთაისის ოპერის თეატრის კონცერტმეისტერის მეგი ჭანტურიძის დახმარებით ნათია იტალიაში გაემგზავრა, წარმატებით გაიარა მოსმენა და ჩაირიცხა ნინო ლეჟავას კლასში.

პირველი წარმატება იტალიაში

მოსკოვის დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ მაყვალა ქასრაშვილის მასტერკლასი ნათიასთვის პირველი წარმატების მომტანი იყო საზღვარგარეთ. იტალიაში 2020 წელს აკადემიაში ჩამოვიდა ტენორი ხოსე კარერასი. ქალბატონ ნინოს მოთხოვნით მოსმენაზე მარტო ნათია გავიდა. ეს იყო მოულოდნელობა და იმავდროულად დიდი პასუხისმგებლობა. შესარჩევი ტურები იტალიაში როსინის თეატრში გაიმართა. მოსმენას ესწრებოდნენ მაესტრო კარერასის კონცერტმეისტერი და მსოფლიო დონის ტენორები. წარმატებული ტურების შემდეგ ნათია მიიწვიეს გალა კონცერტზე და მიიღო მაესტრო კარერასის სამადლობელი მილოცვა.

პანდემიამ გადადო სამომავლო გეგმები

პანდემია რომ მძვინვარებდა, ნათია იტალიაში იყო. ჰქონდა დიდი მიზნები, დიდ მაესტროსთან ერთად სამომავლო გეგმები ვერ განხორციელდა, ნათია საქართველოში დაბრუნდა. ჰქონდა ფიქრის, განსჯის დრო. სასიამოვნო გასახსენებელია უახლოესი წარსული, მაგრამ უფრო უმჯობესი წინ არის, ნათიას აქვს დიდი გეგმები, ემზადება დიდი პროექტისათვის, თანაც ახლო მომავალში. ამ გეგმებზე ნათიას საუბარი არ უნდა, „საიდუმლოდ დავიტოვებო“—თქვა. დაიტოვოს ბატონო, წინასწარ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი უკვე ცნობილი მომღერალია, დიდი სცენები „დაპყრობილი“ აქვს... უკეთესს ველოდებით მისგან, ხელს ვეღარაფერი შეუშლის მის მომავალს.

ნათია მრავალმხრივ განათლებულია. ფლობს რამდენიმე უცხო ენას, ინგლისური, იტალიური, რუსული, გერმანული იცის ისე, როგორც ქართული.

ჩვენც რომ აღმოგვიჩენია...

ხელთ გვაქვს გაზეთ „თერჯოლის“ 2012 წლის 1 თებერვლის ნომერი და წერილი—„ნათია მოსიაშვილი ნიჭიერში“. ეს არის ნათიას პირველი წარმატების პირველი წერილი (ავტორი ჟურნალისტი იუზა მარუაშვილი). ამონარიდები წერილიდან: „ნათიამ წარმატებით დაძლია დაძაბული შესარჩევი ტური და მიიღო შეტყობინება, რომ იგი მიწვეულია „ნიჭიერის“ პირველ ტურში მონაწილეობის მისაღებად“. „ნათია პირველია, ვინც გაცდა პროექტ „ჯეოსტარის“ და „ნიჭიერის“ შესარჩევ ტურს“, „თერჯოლის სცენაზე გამოსვლით, მშვენიერი სიმღერით ნათიამ არაერთი სასიამოვნო წუთი განგვაცდევინა“, „თერჯოლის სამუსიკო სკოლისათვის ვაჟა კუბლაშვილის სახელის მინიჭების ზეიმზე 2009 წელს ნათიამ ბრწყინვალედ შეასრულა „ჭრიჭინას“ სიმღერა“, „მისმა სიმღერებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პროფესორ რამაზ კუბლაშვილზე, რომელმაც ურჩია დამწყებ მომღერალს სწავლა გაეგრძელებინა საოპერო ჟანრის განხრით“, „თერჯოლის მუსიკალური ათწლედის დამთავრების შემდეგ (პედაგოგები ლეილა გელაშვილი, გულთამზე კუბლაშვილი) სამუსიკო კოლეჯი დაამთავრა, სწავლის პერიოდში მოხვდა საბერძნეთში, ქ. მარმარისში გამართულ ფესტივალზე, საიდანაც პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო“, „ვუსურვოთ მას წარმატებები დიდ სცენაზე“...

დიახ, ვუსურვეთ და აუხდა კიდეც... ნათია მოსიაშვილი მყარად დგას მსოფლიოს საოპერო სცენაზე, წინ კი დიდი გზაა, ნათია ჯერ ძალიან ახალგაზრდაა.

ამაყია ალბათ ნათიას ოჯახი, ახლობლები, ამაყები უნდა ვიყოთ ჩვენ, თერჯოლელები, რადგან გვყავს ასეთი წარმატებული ახალგაზრდა, ჩუმი, უხმაურო, მოკრძალებული, თავმდაბალი, რაც ალამაზებს კიდეც მის ცხოვრებას.

ნათია მადლობელია, რომ დავინტერესდით მისი ბავშვობის შემდგომი საქმიანობით, იმით, რომ გვახსოვს, ჩვენც წარმატებები გვისურვა.

ჟუჟუნა ცხადაძე

ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში

26 დეკემბერს საშობაო-საახალწლო ზეიმი გაიმართა ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში. ეს იყო ერთგვარი ანგარიში იმ მუშაობისა, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ეწევიან პროფესიონალი, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე აღმზრდელ-მასწავლებლები.

წინასაახალწლო კონცერტის გამართვა, ისე, როგორც სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებული კონცერტები, აქტრადიციად არის დამკვიდრებული, რომელსაც მუდამ ჰყავს მაყურებელი...

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში სულ უფრო იხვეწება და საინტერესო ხდება სწავლება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ხშირად მონაწილეობენ და წარმატებებს აღწევენ სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებზე, კონცერტებზე.

წლევანდელი საახალწლო საზეიმო ღონისძიება გახსნა და შეკრებილ საზოგადოებას, სკოლის ყველა მოსწავლეს, პედაგოგსა და მოწვეულ სტუმრებს შობა-ახალი წელი, დირექტორის რანგში, პირველად მიულოცა ვალერი კუბლაშვილმა.

დიახ, სკოლას ახლა ახალი დირექტორი ჰყავს. ვალერი კუბლაშვილი იმ ოჯახის ღირსეული წარმომადგენელია, რომლის სახელი სკოლას აქვს მინიჭებული. იმედია, დიდი მაესტროს ვაჟი ღირსეულად გააგრძელებს სკოლის ტრადიციებს თერჯოლელი ახალგაზრდებისათვის საერთანადო მუსიკალური განათლებისა და მათი ხელოვნების ამ დარგთან ზიარების საქმეში...

შემდეგ კი სცენაზე საახალწლო ნაძვის ხესთან კარგად მომზადებული პატარა მომღერლები და მუსიკალური შემსრულებლები ცვლიდნენ ერთმანეთს და სიამოვნებას ანიჭებდნენ მაყურებლებს.

ქართველ კომპოზიტორთა ულამაზესი ნაწარმოებებით სკოლის აღსაზრდელებმა ნამდვილად გაალამაზეს და წინასაახალწლო განწყობა შეუქმნეს დარბაზში შეკრებილთ...

საკონცერტო დარბაზში ხშირად ისმოდა აპლოდისმენტები...

ყოველივე ეს კი მოსწავლეების და აქ მოღვაწე აღმზრდელების: **შორენა არაბიძის, გიული გრძელიშვილის, გულთამზე კუბლაშვილის, ნორა პერანიძის, დალი ჯიხაევას, ნათელა ფხაკაძის, ელეონორა ყურაშვილის, მერი ჯიშკარიანის, ლეილა ცხადაძის, ვალერიან კუბლაშვილის, ვალენტინა სახელაშვილის, რუბენ რობაქიძის** და **რამაზ მემანიშვილის** დამსახურებაა.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე და მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი დაესწრნენ. მათ დამდეგი ახალი წელი და საშობაო დღესასწაული მიულოცეს ზეიმის მონაწილეებს, მაყურებლებს და მადლობა გადა-

უხადეს გაწეული მუშაობისათვის.

ღონისძიებას ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები და სხვა მოწვეული სტუმრებიც დაესწრნენ.

კონცერტის დასასრულს სკოლის აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

მზია ცქიფურიშვილი

ნათლისღება...

ნათლისღება—აღინიშნება ახალი სტილით 19 იანვარს—უძრავია

როდესაც იესო ქრისტეს შეუსრულდა ოცდაათი წელი, ის წავიდა იორდანეზე იოანე ნათლისმცემელთან რომ მონათლულიყო. ეს იყო დრო—იესო ქრისტეს ხალხთან გაცხადებისა. ღვთის ნებით იოანეც წამოვიდა იორდანეს ქვეყანაში. „შეინანიეთ, მოახლოვდა ზეციური სასუფეველი“—ამბობდა ის და ქადაგებდა ნათლობას, მონანიებას ცოდვების პატიებისთვის. ხალხმა იწყო იოანესთან მისვლა, აღიარებდნენ ცოდვებს და ინათლებოდნენ მდინარე იორდანეში.

იოანე არ თვლიდა ღირსად თავის თავს მოენათლა იესო და უთხრა „მე მიხმს შენ მიერ ნათლისღებაი და შენ ჩემდა მოჰხვალა?“ მიუგო იესომ, „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართელე“ (მათე 3, 14-15) და იოანემ მონათლა იესო.

როდესაც იესო ამოვიდა წყლიდან, გაიხსნა მის თავზე ცა, ღვთის სული მტრედის სახით გადმოვიდა მასზე და ციდან მოისმა ხმა მამა-ღმერთისა „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ“ (მათე 3,17).

მონათვლის შემდეგ იესო წავიდა ორდანეში და ლოცვაში გაატარა ორმოცი დღე და ღამე. ამ ხსნის განმავლობაში იესო ქრისტეს არ უჭამია არავითარი საჭმელი. მაცხოვრის ორმოცდღიანი მარხულობის აღსანიშნავად, წმიდა ეკლესიამ დაადგინა დიდი მარხვა აღდგომის წინ.

ამ დღიდან ნათლობას ახდენდნენ იესო ქრისტეს მოციქულები. მოციქულების შემდეგ ეკლესია განუწყვეტლივ ასრულებს მაცხოვრის მიერ განმტკიცებულ ამ საიდუმლოს.

კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით

სამების საკათედრო ტაძარში რამდენიმე წელია კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით აღესრულება საქართველოში მცხოვრები ქრისტიანული ოჯახების ყოველი მესამე და შემდეგი ბავშვის ნათლობა. პატრიარქის მიერ მონათლულია ათეულ ათასობით ბავშვი.

პატრიარქის ნათლულები

პატრიარქის ნათლულები თერჯოლაშიც გვყავს. რამდენიმე მათგანზე სხვადასხვა დროს ვწერდით გაზეთ „თერჯოლაში“. აი ისინი: თეკლა დევდარიანი, ნიკოლოზ კუპატაძე (ღვანკითი), ტყუპები მარიამ და ქრისტინე ბუცხრიკიძეები (ალისუბანი), ძმები გაბრიელ და დემეტრე კლდიაშვილები (ბარდუბანი).

დარწმუნებულები ვართ, რომ პატრიარქის ნათლულები თერჯოლაში კიდევ არიან, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს (მშობლები, რომელთა შვილი (შვილები) პატრიარქის ნათლულები არიან, გამოგვეხმაურონ).

პატრიარქის თერჯოლელი ნათლულები, რომელზეც ვწერდით, ნათლობისას მცირეწლოვნები იყვნენ. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. პატრიარქის ნათლულები დაიზარდნენ, სრულად არა, მაგრამ მაინც ყველამ გააცნობიერა რას ნიშნავს იყვნენ პატრიარქის ნათლულები და ნათლობის საიდუმლოს მნიშვნელობაც. ჩვენ ზოგიერთ მათგანს და მათ მშობლებს გავესაუბრეთ. თითოეულმა დაახლოებით ასე ჩამოაყალიბა სათქმელი. „ნათლობა არ მახსოვს, ძალიან პატარა ვყოფილვარ. უკვე წამოზრდილს მშობლებმა მითხრეს, რომ პატრიარქის ნათლული ვარ“. „ძალიან მიხარია და მეამაყება სამების ტაძარში რომ მომნათლეს“, „ახლა ვიცი ნათლობის მნიშვნელობა, ვიცი, რომ მონათვლა აუცილებელია“, „მითხრეს, რომ ღირსეული ადამიანი გამოვიდე“, „დიდხანს სიცოცხლე ჩემს ნათლიას, უწმინდესს და უნეტარესს“, „ისიც ვიცი, რომ ის დიდ საქმეებს აკეთებს, გავიზრდები და ყველაფერს გავიგებ მასზე“, „წავიკითხე პატრიარქის დალოცვა და ზეპირად ვისწავლე“, „უნდა შევასრულო რაც მისურვა“, „ნათლობის მოწმობა, რომელსაც პატრიარქი აწერს ხელს, ჩემთვის წმინდაა“, „ვიცი, რომ ნათლობა დადგენილია უფლის მიერ“, „ნათლობას პირველი ადგილი უჭირავს აღთქმათა შორის, რომელიც სულ შვიდი ყოფილა“.

პატრიარქის დალოცვა ნათლულებს

„უფალო დალოცე და ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილად აღზარდე ნათლული ჩემი და მიანიჭე მას სიყვარული შენი და მოყვასისა. მიმადლე მრავალჟამიერი სიცოცხლე და სიბრძნე, სიმრთელე სულისა და ხორცისა, გული წმიდა და სული წრფელი, განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა თვისისა. მიეც თავდამბლობა და სიმშვიდე, შრომისმოყვარეობა და ერთულება, მტკიცე და მრავალშვილიანი ოჯახი და პატივისცემა მშობელთა, რათა კეთილი იყოს და დღეგრძელი იყოს იგი ქვეყანასა ზედა“.

ნაცნობი ცნობარი პატრიარქის ნათლულებზე

1. **თეკლა დევდარიანი**—პატრიარქის რიგით 6555-ე ნათლული. მოინათლა 3 თვის ასაკში. პატრიარქთან ერთად მისი ნათლულები არიან თეკლას მშობლების—ლელა და ტრისტან დევდარიანების ახლობლები: დარეჯან ჭანტურიძე და ლია ზიბზიბაძე.

2. **ნიკოლოზ კუპატაძე**—პატრიარქის რიგით 9650-ე ნათლული. მოინათლა ერთი წლის ასაკში. პატრიარქთან ერთად მისი ნათლიები არიან მშობლების ქეთევან სახეჩიძისა და იასონ კუპატაძის მეგობრები: მურთაზ არაბიძე და ვანო ქარქაშაძე.

3. **მარიამ ბუცხრიკიძე**—პატრიარქის რიგით 9663-ე ნათლული, მოინათლა ოთხი თვის ასაკში. პატრიარქთან ერთად მარიამის ნათლულია, მშობლების ნინო ცხადაძის და მალხაზ ბუცხრიკიძის მეგობარი თამარ ბაგრატიონი.

4. **ქრისტინე ბუცხრიკიძე**—პატრიარქის რიგით 9662-ე ნათლული. მოინათლა ოთხი თვის ასაკში. პატრიარქთან ერთად ქრისტინეს ნათლიაა ნინო ცხადაძის და მალხაზ ბუცხრიკიძის მეგობარი თეა მაჩიტიძე.

5. **გაბრიელ კლდიაშვილი**—პატრიარქის რიგით 17630-ე ნათლული. მოინათლა 3 თვის ასაკში. პატრიარქთან ერთად გაბრიელის ნათლიაა, მშობლების ნიკო კლდიაშვილის და თაკო ფრუიძის მეგობარი გიგა აბულაძე.

6. **დემეტრე კლდიაშვილი**—პატრიარქის რიგით 23435-ე ნათლული. მოინათლა 5 თვის ასაკში პატრიარქთან ერთად დემეტრეს ნათლიები არიან მშობლების ნიკო კლდიაშვილის და თაკო ფრუიძის მეგობრები: მამა ანდრია ყიფიანი და ალექსანდრე მესხი.

ასეთები არიან პატრიარქის ნათლულები დღეს

თეკლა დევდარიანი, სწავლობს თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მე-7 კლასში.

მარიამ და ქრისტინე ბუცხრიკიძეები, სწავლობენ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მე-6 კლასში.

გაბრიელ და დემეტრე კლდიაშვილები, სწავლობენ თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მე-3 და მე-2 კლასში.



ნიკოლოზ კუპატაძე, სწავლობს კერძო სკოლა „მზეკაბანის“ მე-6 კლასში.

ახალგაზრდა მეფუტკრე თუზიდან

ფრიდონ სულიაშვილი... ამ გვარ-სახელის თერჯოლელი ახალგაზრდა მეფუტკრე გავიცანით თბილისში სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, გაესაუბრე და ჩვენი გაზეთის საახალწლო ნომრისათვის მოამზადე მასალაო—მითხრა ჩვენი გაზეთის რედაქტორმა.

ფრიდონი სოფელ თუზში ცხოვრობს და როგორც სხვა თანასოფლელებს მასაც მოჰყავს სიმინდი, სოიო... ჰყავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, კრუხ-წიწილა... მაგრამ გამორჩეული დარგი, რომელსაც იგი მთელ ფიზიკურ შესაძლებლობებს, ცოდნას და გამოცდილებას ახმარს მეფუტკრეობაა.

როგორც თავად ამბობს სოფლის მეურნეობის ამ დარგისადმი გამორჩეული სიყვარული გენით მოსდგამს,—მის დიდ ბაბუას სერგო სულიაშვილს ჰყოლია ფუტკარი მოშენებული და გამოჩინებული მეფუტკრეც

ყოფილა. როგორც თავად გვითხრა, ფრიდონს რამოდენიმე წლის წინათ დაუწყია ფუტკრის მოშენება. ამჟამად მის სკათა რაოდენობა 200-სს აღწევს და არაა ძნელი წარმოსადგენი რამოდენა ჯაფას ეწევა, რომ ფუტკარი ჯანმრთელი და ღალიანი შეინარჩუნოს. ყოველ დღე თუ არა კვირაში ერთხელ ხომ მაინც უნდა მიხვიდე ძირთან, ანუ 200-ჯერ, დაათვალიერო, თუ საჭიროა უწამლო... აღარაფერს ვამბობთ თაფლის გამოხდაზე, რაც საკმაოდ რთული პროცესია. უმცროსი ძმა ნოდარი უდგას გვერდით და მასთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობს. რა გასაკვირია თუ მათი ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყარო ფუტკარია.

ჩვენს ინტერვიუერთან საუბრისას დავინტერესდით რატომ ამოირჩია ეს დარგი, ცოდნის რა საფუძველი ჰქონდა საამისოდ, როგორ უკეთებს რეალიზაციას პროდუქციას და ა.შ.

ფრიდონი კარგი მოსაუბრეა, მითუმეტეს, როცა საუბარი ფუტკარს შეეხება, მას დაუსრულებლად შეუძლია მოგიყვეთ ამ საოცარი მწერის შესახებ. მეფუტკრეობით ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული, გვეუბნება ფრიდონი. სულ მესმოდა ხოლმე კაცის შექება რომ უნდოდათ, ნახე როგორ ფუტკარივით მშრომელიაო. ოთარ რამიშვილის ცნობილ სიმღერაშიც ფუტკარზე როგორაა ნათქვამი: „ამაზედ კარგი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე და ღმერთს სანთელი“. აღარაფერს ვამბობთ თაფლის კვებით და სამკურნალო ღირებულებაზე...

განა ბევრი გეგულებათ ცხოველი ან მწერი, რომელსაც ფუტკარივით ჰქონდეს მოწესრიგებული ოჯახი, განაწილებული შრომა ოჯახის წევრებზე. ამბობენ დიდმა გერმანელმა მოაზროვნემ მარქსმა თავისი ცნობილი „კაპიტალი“ ფუტკრის მოწესრიგებული ოჯახის მიხედვით შექმნაო. როცა მეფუტკრეობა დავაპირე მოვიძიე საჭირო ლიტერატურა, ჩავუჯექი და შევისწავლე რაც დამწყებისათვის საჭირო იყო. შევხვდი არაერთ გამოცდილ მეფუტკრეს, მათი რჩევა-დარიგება დიდად დამეხმარა და მეხმარება მუშაობაში. ყველაზე დიდ გამოცდილებას კი ადამიანს საკუთარი შრომა შეგძენს. ამდენი წლის გარჯის შემდეგ უკვე იმ დონეზე ვარ, რომ შემიძლია გამართულად ვმართო მეურნეობა, ახალგაზრდა, დამწყებ მეფუტკრეებსაც გაუწიო კონსულტაცია თუ კი ამის სურვილი ექნებათ.

ზემოთ სკაში შრომის განაწილება ვახსენეთ. საოცარია პირდაპირ როგორ ბუნებრივად ახერხებს ამას ეს გონიერი მწერი: მდედრი და მამრი ფუტკრები შთამომავლობის გამრავლებაზე, ახალი ოჯახების შექმნაზე ზრუნავენ. მუშა ფუტკრები საკვების, იგივე თაფლის შეგროვებაზეა გამეცადინებული, არიან ფუტკრები, რომლებიც მცველების ფუნქციას ასრულებენ და ოჯახს სხვა ოჯახების თავდასხმისაგან იცავენ. თქვენ წარმოიდგინეთ არიან ფუტკრები, რომლებიც ცხელ, გვალვიან ამინდში სკის გაგრილებას ახდენენ, ანუ ვენტილიატორის ფუნქციას ასრულებენ. ამოუხსნელი იყო თუ როგორ აგნებენ მუშა ფუტკრები ოჯახს, მათ ხომ, თაფლისათვის საჭირო ნექტრის შესაგროვებლად, 30-35 კმ-ზე უხდებათ გადაადგილება. დადგინდა, რომ ყოფილან ფუტკრები, რომლებიც შორს წასულ თანამოძმეს უგზავნიან სიგნალებს და ასწავლიან რომელი გზით დაბრუნდნენ შინ.

მეფუტკრეობა უძველესი დარგია საქართველოში. ჩვენმა წინაპრებმა ისევე, როგორც ვაზის, პურის და სხვა კულტურების უამრავი ჯიში გამოიყვანა, მეფუტკრეობაც განავითარა. მათი რუდუნების შედეგია ის, რომ გრძელხორთუმა ქართული ფუტკარი შეუდარებელია მსოფლიოში.

ჩვენს მუნიციპალიტეტში დარგის განვითარების შესანიშნავი პირობებია. მეფუტკრეებს თითქმის არ სჭირდებათ ფუტკრის მომთაბარეობა, ანუ სხვა ადგილებზე გადაყვანა-გადმოყვანა. ამასთან დარგი მეტად შემოსავლიანია. მას შემდეგ, რაც სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში გაიხსნა თაფლის საწარმო, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემაც მოგვეხსნა.

იმედია სახელმწიფოს მიერ მეფუტკრეობის განვითარებაში მეტი ასიგნებანი ჩაიდება, მეტი დახმარება გაეწევა ინდივიდუალურ მწარმოებლებსაც, შესაბამისად პროდუქცია იმატებს და მისი წილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში უფრო თვალსაჩინო გახდება.

ახალ წელს ვულოცავ ჩემს კოლეგა მეფუტკრეებს, მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს, ფუტკარივით შრომის სიყვარული არ დალეოდეთ და ამ შრომის უხვი მონაგარი.

ესაუბრა იუზა მარუაშვილი

საახალწლო-საშობაო კონცერტი მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში წინასაახალწლო კარნავალის ტრადიცია გრძელდება. ამის დასტური იყო 27 დეკემბერს ცენტრის სააქტო დარბაზში საახალწლო ნაძვის ხესთან გამართული დიდი ღონისძიება, რომელშიც ცენტრში არსებული მომღერალთა და მოცეკვავეთა ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები და სხვადასხვა კლუბის მოსწავლეები მონაწილეობდნენ...

დარბაზში მაყურებელთა სიმრავლეა, დიდია საუკეთესო სანახაობის მოლოდინი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საახალწლო ღონისძიებას ესწრებიან მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა ცენტრის დირექტორი ნინო ოქრუაძე, მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს, ცენტრის აღსაზრდელებსა და პედაგოგებს, დამდეგი ახალი წელი მიულოცა თითოეულ მათგანს და ღონისძიებაც დაიწყო...

სცენაზე ერთმანეთს ცვლიან ლამაზი საახალწლო სანახაობები. ღონისძიებამ, რომელშიც ცენტრის თითქმის ყველა წრე და კლუბი იყო ჩართული ერთი მეორეზე საუკეთესო ნომრები წარმოადგინეს.

ულამაზესი გოგონები და ვაჟები, საკარნავალო კოსტუმებით, საუკეთესოდ შესრულებული გამოსვლებით მრავალგზის გააცილა აპლოდისმენტებით მაყურებელმა სცენიდან.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს, მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს, ცენტრის ხელმძღვანელობას და თითოეულ მონაწილეს.

მზია ცქიფურიშვილი

მადლობა ბავშვების გახარებისთვის

ერთი რამ, რაც უცვლელად ყველას მოგვყვება ბავშვობიდან, ახალი წლის მოლოდინია. არა აქვს მნიშვნელობა, რისი გჯერა. ახალი წელი დღემდე ყველაზე ჯადოსნურია, ახალი წლის ყველას გვჯერა.

დიახ, ახალი წელი ჯადოსნურია. ბავშვებს ძალიან სჯერათ სასწაულების და მოუთმენლად ელიან მომენტს, როცა თოვლის ბაბუა საჩუქარს მოუტანს.

ვარდიგორის სკოლაში სემესტრი ტრადიციულად საახალწლო ღონისძიებით დაგვირგვინდა. ბავშვები საახალწლო სამოსელში გამოეწყვნენ, იმღერეს, იცეკვეს, ულამაზესი მხატვრული ნომრები, დადგმები წარმოადგინეს... და დამსწრე საზოგადოებას განწყობა აუმაღლეს. საზეიმო წარმოდგენაში ვარდიგორის სკოლის მოსწავლეებთან ერთად თუზის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. იყო საყოველთაო მხიარულება. ბავშვებისათვის განსაკუთრებით ემოციური და სასიხარულო თოვლის ბაბუას სტუმრობა აღმოჩნდა, რომელმაც პატარები საჩუქრებითა და ტკბილეულით გაანებივრა.

საახალწლო განწყობის შექმნაზე კი ამჯერად შპს „მ გრუპი“-მ იზრუნა. მადლობას ვუხდით შპს „მ გრუპი„-ს გენერალურ დირექტორს, ბატონ მალხაზ ხარაძეს გამოჩენილი გულისხმიერებისა და ჩვენი ბავშვების გახარებისთვის. მადლობა, ჯადოსნური საახალწლო განწყობის ჩუქებისთვის. ვულოცავთ ბატონ მალხაზს შობა-ახალ წელს და ვუსურვებთ პიროვნულ თუ პროფესიულ წარმატებას.

თამილა მგალობლიშვილი,
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

რედაქტორის მინაწერი: კარგი იქნება თუ ბატონი მალხაზ ხარაძის ამ კარგ თაოსნობას ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვა ბიზნესმენებიც განავრცობენ.

სამხატვრო სკოლის საახალწლო ვერნისაჟზე...

ყოველი დღე ლამაზი და საინტერესოა სამხატვრო სკოლაში, თუმცა, მათ შორის მაინცაა განსაკუთრებით გამორჩეული...

ახალი წლის შესახვედრად, ანუ აწ უკვე გასული წლის შემაჯამებელი გამოფენისათვის მზადებას აქ თითოეული მოსწავლე თუ მასწავლებელი უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს და თითოეულ საგამოფენო ნამუშევარში შესაძლებლობის მაქსიმუმს, ანუ, როგორც ამბობენ, სულსა და გულს დებენ...

ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში დამეთანხმება ყველა ის დამთვალიერებელ-შემფასებელი, ვინც 27 დეკემბერს სამხატვრო სკოლაში საახალწლო გამოფენის გახსნას დაესწრო...

თავი ზღაპრულ სამყაროში გგონია: არაჩვეულებრივი ფერთა სიმრავლე, გემოვნებით მომზადებული ბრჭყვიალა თუ სადა ნამუშევრები, ფერწერისა და გრაფიკის საოცარი ნიმუშები... თემატიკაც მრავალფეროვანი, თუმცა ძირითადად მაინც საახალწლო იდილიაა: ნაძვები და მისი მოსართავები, ზღაპრის გმირები, ფიფქები და ა.შ. და ა.შ. ეს ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ნახო და შეიგრძნო...

დიახ, გამოფენის სილამაზეს, ანუ მის ესთეტიკურ მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ჩვენც, ბუნებრივია, მას დიდ ყურადღებას ვუთმობთ ბრძანებს მისალმების შემდეგ სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამარ ღარიბაშვილი და სიამაყით წარუდგენს დამთვალიერებლებს მოსწავლეთა ნამუშევრებს. აქ მოსულმა დამთვალიერებლებმა სიამოვნება უნდა მიიღონ. ამ მოტივაციით ჩვენი მოსწავლეები კიდევ უფრო მეტს მუშაობენ, იხვეწებიან და საბოლოო ჯამში გემოვნებიან, რიგ შემთხვევაში მხატვრებად, უმეტეს შემთხვევაში კი დამთვალიერებელ-შემფასებლებად ყალიბდებიან... სკოლის მიზანიც ხომ ესაა... ყველა მხატვარი ვერ იქნება, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ თითოეული ვინც სამხატვრო სკოლის კურს გაივლის ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბდება, მათი ხედვა და გემოვნება არასოდეს იქნება ცუდი, მიუღებელი მიზნისაკენ მიმართული.

თამარმა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა სახელით მადლიერება გამოხატა მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ა(ა)იპ მიმართ იმ ხელშეწყობისა და შესაძლებლობისათვის, რაც თერჯოლელ მოსწავლეებს ეძლევათ ამ სკოლის არსებობით და სათანადო პირობების შექმნით.



სკოლას, მოსწავლეებს, აღმზრდელებს ახალი წელი მიულოცა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა გურამ თურქაძემ.

იმ დღეს სკოლის 82 აღსაზრდელმა საახალწლო საჩუქარი მიიღო, შემდეგ კი სამახსოვრო სურათები გადაიღეს...

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872